

გარემოს ეროვნულ სააგენტოს
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

ქალბატონო/ბატონო,

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 37-ე მუხლის თანახმად, ამავე კოდექსის მე-40 მუხლით დადგენილ ვადებში, გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი სახის საჯარო ინფორმაცია:

- რომელი წლიდან არსებობენ მეტეოროლოგიური სადგურები საქართველოში?
- რამდენი მეტეოროლოგიური სადგური იყო საქართველოში 90-იან წლებამდე(მანამდე, სანამ მათი დახურვა მოხდებოდა)?
- როდიდან დაიწყო მათი აღდგენა?/ახალი სადგურების გახსნა?
- რამდენი მეტეოროლოგიური სადგურია ამჟამად?
- როგორია მეტეოროლოგიური სადგურების აღჭურვილობა? გაქვთ თუ არა რადარები? როგორ ხორციელდება ამინდზე დაკვირვება?
- მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემზე დაყრდნობით რამდენი საათით ადრე შეიძლება მდინარეში წყლის დონის მომატების განსაზღვრა?
- 13 ივნისის სტიქიის დროს თუ ფლობდით ინფორმაციას მეწყერის, ვერეში წყლის დონის მომატების შესახებ და რამდენი ხნით ადრე?
- მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემით შესაძლებელია თუ არა სტიქიის პრევენცია ან ამ მონაცემზე დაყრდნობით მაქსიმუმ რა უსაფრთხოების ღონისძიებების გატარება არის შესაძლებელი?
- უკეთესი ხელსაწყოების შემთხვევაში მეტეოროლოგიური სადგურის ინფორმაციის საშუალებით 13 ივნისის სტიქიის დროს რა შედეგის თავიდან აცილება იქნებოდა შესაძლებელი?

პატივისცემით,

პაატა გაფრინდაშვილი

„საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ (GRASS) დირექტორის მოადგილე

მისამართი:

თბილისი, მიჩკევიჩის ქუჩა # 27 ბინა #1

საკონტაქტო პირი:

ვერიკო სუხიაშვილი 599786561

Nanovero71@gmail.com

